სს. კოდი: 010250020.35.121.016458
გამოქვეყნების თარიღი: 20.06.2022

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N15

2022 წლის 16 ივნისი

„ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N 28 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ვანის მუნიციპალიტეტის 2022 წლის სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N28 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30.12.2021 წელი, 010250020.35.121.016442) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებულ „ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამის“ (დანართი N4) მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) ცერემბრალური დამბლით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვები.“

2. დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებულ „ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამის“ (დანართი N4) მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი:

„ე) ცერემბრალური დამბლით დაავადებული 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის - 100 (ასი) ლარი.“

3. დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებული „ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამის“ (დანართი N4) მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ დ) მე-4 პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დაავადებული ბავშვის მშობელმა (მეურვემ) განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა, ბენეფიციარის პირადობის ან დაბადების მოწმობა, ცნობა ბენეფიციარის ჯანმრთელობის შესახებ - ფორმა N100, საბანკო რეკვიზიტი და ცნობა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლიდან, ბოლო 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში ბენეფიციარის ვანის მუნიციპალიტეტში ფაქტიურად ცხოვრების შესახებ.“

4. დადგენილების მე-4 მუხლით დამტკიცებული „ქრონიკული დაავადებების მქონე პირთა დახმარების პროგრამის“ (დანართი N4) მე-7 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ალექსანდრე ლილუაშვილი
ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე